



შენაბავისობის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვაშტიკი“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

გიორგი მამრიკიშვილი

“ 28 ” 12 “ 2018 წელი

N 83/36

ვგზ: N:1

პასკის მუნიციპალიტეტის 2016-2017
წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული
პროგრამების შესაბამისობის აუდიტის
ანგარიში

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები	3
შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები	4
შესავალი	8
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	8
აუდიტორის პასუხისმგებლობა	8
აუდიტის საგანი	8
აუდიტის მასშტაბი	9
აუდიტის კრიტერიუმები	9
აუდიტის მიზანი	10
აუდიტის მეთოდოლოგია	10
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ.....	10
აუდიტის მიგნებები.....	12
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	12
კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელებისას გამოვლენილი ხარვეზები	12
უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები	17
სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელებული შესყიდვების ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზები	21
ფინანსური რესურსების მართვაში არსებული ხარვეზები.....	26
შრომის ანაზღაურება.....	26
ჯერადობის დარღვევით გაცემული პრემიები.....	26
არასწორად დასაბუთებული დანამატები.....	27
საქონელი და მომსახურება.....	28
შტატგარეშე მოსამსახურეების დაქირავებისას გამოვლენილი კანონშესაბამოები	28
ავტოპარკის მართვაში გამოვლენილი ხარვეზები.....	30
საკრებულოს წევრებზე დასაბუთების გარეშე გაწეული ხარჯები	34
სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელება.....	35
მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირები.....	36
ზამთრის სეზონზე გზების მოვლა - პატრონობის მომსახურების შესყიდვა	38
შიდა აუდიტი.....	39
წინა აუდიტის დროს გამოვლენილი დარღვევები	41

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

- / მუნიციპალიტეტი – კასპის მუნიციპალიტეტი;
- / მერია – კასპის მუნიციპალიტეტის მერია;
- / საკრებულო – კასპის მუნიციპალიტეტის მერია;
- / შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
- / ს.ს. – სააქციო საზოგადოება;
- / ა(ა)იპ – არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირი;
- / ი/მ – ინდივიდუალური მეწარმე.

შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა კასპის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

მუნიციპალიტეტმა, ზოგიერთი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისას, დაუსაბუთებლად გაზარდა მიწოდების ვადები და არ დაიცვა პირგასამტეხლოს გავრცელების ვალდებულება, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო. საჯარიმო სანქციების გავრცელების შემთხვევაში მუნიციპალიტეტი მიიღებდა დამატებით საბიუჯეტო შემოსავალს.

შესრულებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში დაშვებული ნაკლოვანებების შედეგად, მუნიციპალიტეტში 2016-2017 წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილი დაზიანებულია, რითაც სრულად ვერ იქნა მიღწეული პროგრამით გათვალისწინებული მიზნები, მისი ექსპლოატაციის მთელ პერიოდში.

მუნიციპალიტეტის მიერ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების პროცესი ხასიათდება სისტემური ნაკლოვანებებით: მუნიციპალიტეტი ვერ ითვისებდა გამოყოფილ თანხას და ვერ ასრულებდა ცალკეული ობიექტების მშენებლობას, რითაც გასწევდა არაეფექტიან ხარჯებს.

მუნიციპალიტეტმა 2016 წელს პრემიების გაცემის დროს დაარღვია საკრებულოს მიერ განსაზღვრული წესი პრემიების ჯერადობის შესახებ.

მუნიციპალიტეტმა შტატით გათვალისწინებულ საჯარო მოხელეებზე 2017 წელს დანამატები გასცა სათანადო დასაბუთების გარეშე. კერძოდ, სამართლებრივი აქტები არ შეიცავს მითითებას მოხელის ზეგანაკვეთური მუშაობის, საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოებების შესახებ.

მუნიციპალიტეტმა შტატგარეშე მოსამსახურეები დაიქირავა მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად, რაც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

მუნიციპალიტეტმა არ დაიცვა საავტომობილო საწვავის ხარჯვის ლიმიტები და გადახარჯა არსებითი მოცულობის საწვავი. გარდა საკუთრებაში არსებული ავტომანქანებისა, მუნიციპალიტეტმა საწვავი გასცა კერძო ავტომანქანების მფლობელ მოსამსახურეებზე, რაც სათანადოდ არ არის აღრიცხული. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა პლასტიკური ბარათების გამოყენებით მიღებული საწვავის ხარჯვის სრული დოკუმენტაცია.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.

მუნიციპალიტეტმა 2016 წელს ზოგიერთი შესყიდვა ჩაატარა სახელმწიფო შესყიდვების დამტკიცებული გეგმის დარღვევით. კერძოდ, გადააჭარბა CPV კოდებით დადგენილ ზღვრებს.

ჯამთრის სეზონზე გზების მოვლა – პატრონობის მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში მუნიციპალიტეტმა შეზღუდა სხვა პრეტენდენტის მონაწილეობა და გამარჯვება, მის მიერ დაფუძნებული საწარმოს სასარგებლოდ.

მუნიციპალიტეტმა განმეორებით დაუშვა ან არ გაატარა საკმარისი და შესაფერისი ღონისძიებები აუდიტის წინა ანგარიშებში ასახული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების საპასუხოდ, აუდიტის სამსახურმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია №1: მუნიციპალიტეტის მერიამ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების ცვლილება არ განახორციელოს დაუსაბუთებელი გარემოებებით და გაითვალისწინოს მხოლოდ ობიექტური და ფორსმაჟორული საფუძვლების არსებობა. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ვადებისა და სხვა პირობების დარღვევისათვის, გაავრცელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. ამასთანავე, ხელშეკრულების პირობები განსაზღვროს იმგვარად, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული მისი, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესი. მათ შორის, გამოიყენოს საჯარიმო სანქციების ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტების მიწოდების დაგვიანების პრევენციას. შედეგად, დროულად მიიღება ის პროდუქტი, რომელიც დაგეგმილია ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისათვის და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს მიმწოდებლებზე საჯარიმო სანქციის დაურიცხაობის ყველა ფაქტი, გამოავლინოს გამომწვევი მიზეზები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები იმ პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებმაც განმეორებით დაუშვეს წინა აუდიტის ანგარიშში ასახული დარღვევები.

რეკომენდაცია №2: მუნიციპალიტეტის მერიამ, სამუშაოების შესყიდვისას, დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები და განახორციელოს ისეთი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალი რწმუნების მიღებას, რამდენად ხარისხიანად შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები. მერიამ რეგულარულად

აწარმოოს შესყიდული სამშენებლო ობიექტების მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო ღონისძიებები, არსებული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების მიწოდებას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ასევე, მუნიციპალიტეტმა გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომელთაც ევალებოდათ უხარისხო სამუშაოების გამოვლენა და მათზე რეაგირება.

რეკომენდაცია №3: ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას, მუნიციპალიტეტის მერიამ დახვეწოს ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები. შეისწავლოს მოსახლეობის საჭიროებები, განსახორციელებელი პროექტების მოსალოდნელი შედეგები, შესაძლო ხელშემშლელი ფაქტორები და აღნიშნულის გათვალისწინებით, პრიორიტეტულად განსაზღვროს ისეთი პროექტების განხორციელება, რომლებიც გააუმჯობესებს მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობას; უკვე შესყიდულ ობიექტებს მუნიციპალიტეტის მერიამ შესაძლო მოკლე ვადაში მოუძებნოს ფუნქციური დატვირთვა ან განკარგოს ისინი სხვა ფორმით, რათა უზრუნველყოს შექმნილი მატერიალური სიკეთის მოსახლეობისთვის დროული და ხარისხიანი მიწოდება.

რეკომენდაცია №4: ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტმა საკუთარ ანგარიშზე არსებული თავისუფალი ფულადი სახსრები მიმართოს სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად ან დაუსრულებელი პროექტების გასაგრძელებლად. ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არ დაუშვას თავისუფალი ნაშთის უკონტროლო დაგროვება და თანხები მაქსიმალურად გამოიყენოს მოსახლეობის სასიკეთოდ.

რეკომენდაცია №5: მუნიციპალიტეტის მერიამ მიზანშეწონილია გაატაროს ღონისძიებები ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესებისათვის. ამასთანავე, შრომითი ხელშეკრულებები გააფორმოს მხოლოდ დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად, რაც კონკრეტულად იქნება დადგენილი ხელშეკრულების პირობებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა რაოდენობის ოპტიმიზაციას და საბიუჯეტო თანხების რაციონალურ ხარჯვას.

რეკომენდაცია №6: მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ დაუშვას საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს

წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს არათანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

რეკომენდაცია №7: მუნიციპალიტეტმა დაფუძნებულ სუბიექტებში შეისწავლოს შტატით გათვალისწინებული და შტატგარეშე მოსამსახურეების ფუნქცია-მოვალეობები და დაგეგმოს ოპტიმალური ვარიანტი თითოეული დასაქმებულის ფუნქციური დატვირთვისათვის და საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სუბიექტების საქმიანობის პროდუქტიულობას და მოსახლეობისათვის მიწოდებული სერვისების გაუმჯობესებას.

რეკომენდაცია №8: მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს ზოგადად თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის გაუმჯობესება, არსებული რისკების შეფასებით და მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის გზით. ამასთანავე, შეიმუშაოს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით.

რეკომენდაცია №9: მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარმოადგინოს ღონისძიებათა გეგმა მუნიციპალიტეტის აუდიტის ანგარიშებში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის. გონივრულ ვადაში ასევე წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და მიღწეული შედეგების შესახებ. მუნიციპალიტეტმა გაატაროს სათანადო ღონისძიებები იმ პასუხისმგებელ პირთა მიმართ, რომელთაც ევალებოდათ აღნიშნულ დარღვევა-ნაკლოვანებებზე რეაგირება და განმეორებით დაუშვეს ან არ გაატარეს საკმარისი და შესაფერისი ღონისძიებები აუდიტის წინა ანგარიშში ასახული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კასპის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. კასპის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარად წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ კასპის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამოებების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

კასპის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა კასპის მუნიციპალიტეტის მიერ 2016-2017 წლებში ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. პროგრამების შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტების გადასახდელები, ჯამში -27,178.9 ათასი ლარი.

აუდიტის კრიტერიუმები¹

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

-)/ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449 დადგენილება „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;

¹ 2016-2017 წლებში მოქმედი რედაქციის მიხედვით.

ქ) მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

- ა) ჩამოყალიბდეს დასკვნა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- ქ) აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
- ქ) სამართლებრივი რეაგირების ღონისძიებების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესწავლა;
- ქ) ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
- ქ) მონაცემთა ანალიზი (მონაცემთა ბაზებისა და მონაცემთა დოკუმენტური ანალიზი) და სხვ.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

კასპის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 17 ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც მოიცავს 1 ქალაქს და 78 სოფელს. კასპის მუნიციპალიტეტის ფართობია 803 კვ.კმ, მოსახლეობის 2017 წლის საშუალო წლიური რიცხოვნობა შეადგენს 42.9 ათას კაცს². ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი კასპი.

ბიუჯეტი. კასპის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით, 2016-2017 წლებში შემოსულობებმა 24,861.4 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა 27,178.9 ათასი ლარი შეადგინა. ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში:

² www.geostat.ge; www.reestri.gov.ge; www.budgetmonitor.ge.

ცხრილი №1. ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ
(ათასი ლარი)

დასახელება	2016 წელი			2017 წელი			საკასო შესრულებების ჯამი
	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	%	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	%	
შემოსულობები	12,991.6	13,483.2	103.8%	11,807.9	11,378.2	96.0%	24,861.4
შემოსავლები	12,891.6	13,413.3	104.0%	11,689.9	11,313.0	96.4%	24,726.3
არაფინანსური აქტივების კლება	100.0	69.9	69.9%	118.0	65.2	55.3%	135.1
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	0	0	–	0	0	–	–
ვალდებულებების ზრდა	0	0	–	0	0	–	–
გადასახდელები	15,739.9	13,724.7	87.2%	14,245.4	13,454.2	94.4%	27,178.9
ხარჯები	7,906.3	7,386.9	93.4%	7,489.8	7,492.3	100.0%	14,879.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	7,832.1	6,324.0	80.7%	6,409.6	5,838.9	91.1%	12,162.9
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)	0	0	–	0	0	–	–
ვალდებულებების კლება	1.5	13.8	920%	346.0	123.0	35.5%	136.8
ნაშთის ცვლილება	-2,748.3	-241.5	–	-2,437.5	-2,076.0	–	–

2017 წელს მუნიციპალიტეტის შემოსავლების კლება განაპირობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის შემცირებამ („სოფლის მხარდაჭერის პროგრამები“, გათანაბრებითი ტრანსფერი).

2016-2017 წლებში ბიუჯეტის გადასახდელებიდან დაბალია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის შესრულება. კერძოდ, კასპის მუნიციპალიტეტმა ამ მუხლით 2016 წელს დაგეგმა 7,832.1 ათასი ლარის ხარჯვა, თუმცა საკასო შესრულება 6,324.0 ათასი ლარია (80.7%). 2017 წელს, ნაცვლად გეგმიური 6,409.6 ათასი ლარისა, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი შესრულდა 5,838.9 ათასი ლარით (91.1%). სულ 2016-2017 წლებში აღნიშნული მუხლით დახარჯულია 12,162.9 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 85%-ს შეადგენს. გეგმის შეუსრულებლობა ორივე წლისათვის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტების დაუსრულებლობამ განაპირობა. კერძოდ, მომდევნო წელში გადავიდა სოფლების გოსტიბე-ცხავერის გზის რეაბილიტაციის, სოფელ დოესის სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციის, სპორტული მოედნების მშენებლობა-მოწყობის, სოფელ საქადაგიანოს და სოფელ ხიდისყურის სასმელი წყლის რეაბილიტაციის, ქალაქ კასპში ჭავჭავაძისა და სამთავისის ქუჩებზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები; ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა სრულად ვერ აითვისა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსება.

აუდიტის მიგნებები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელებისას გამოვლენილი ხარვეზები

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად³, შესყიდვის მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადას. სატენდერო დოკუმენტაციასა და ხელშეკრულებაში ასახული პირობების შესრულება სავალდებულოა შესყიდვებში მონაწილე პირებისთვის. ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს და სამუშაოს დასრულების ვადა გადაიწიოს მხოლოდ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო. ნებისმიერი ცვლილება დაუშვებელია, რომელსაც მოჰყვება შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა⁴.

კასპის მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს საჯარიმო სანქციებს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის დარღვევისათვის. მიმწოდებელს პირგასამტეხლო, როგორც წესი, ერიცხება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების, შეუსრულებელი ვალდებულების/გეგმა-გრაფიკის ღირებულების კონკრეტული პროცენტის ოდენობით.

გამოვლენილი გარემოება: 2015-2016 წლებში, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას, კასპის მუნიციპალიტეტი მიმწოდებლის მოთხოვნით ზოგჯერ ზრდიდა შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას. შემსყიდველი ორგანიზაცია გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში განსაზღვრავს სამუშაოების დასრულების გონივრულ ვადებს, რადგან სამუშაოების დაგეგმვისას უნდა ითვალისწინებდეს იმ გარე ფაქტორებს, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს სამუშაოების დროულად დასრულებას. სახელშეკრულებო პირობები მიმწოდებლისთვის ცნობილი ხდება ტენდერის გამოცხადების ან ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე და ხელმოწერით ეთანხმება მას. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას მხოლოდ ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, რაც მუნიციპალიტეტმა რიგ შემთხვევებში არ დაიცვა.

ქ. კასპში საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია. 2016 წელს კასპის მუნიციპალიტეტმა საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები

³ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 19, პუნქტი 6.

⁴ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 21, პუნქტი 5.

შეისყიდა ტენდერის საშუალებით. გამარჯვებულთან - შპს „ფუძე“ ხელშეკრულება გაფორმდა 5 აპრილს, ღირებულებით 266.0 ათასი ლარი⁵. სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2016 წლის 4 ივლისის ჩათვლით. სამუშაოების შესრულების პროცესში მხარეებმა ხელშეკრულებაში შეიტანეს ცვლილებები და მიწოდების ვადა 3-ჯერ შეცვალეს. მათ შორის, ხელშეკრულების მეორე ცვლილება განხორციელებულია წინა ცვლილებით დადგენილი მიწოდების ვადის ამოწურვის შემდეგ. საბოლოოდ სამუშაოების დასრულების ვადა გაიზარდა 115 დღით – 27 ოქტომბრის ჩათვლით. მიწოდების ვადა გაზრდილია ნალექიანი დღეების, სახარჯთაღრიცხვო ცვლილებებისა და ტექნიკური მიზეზების გამო.

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული გარემოებები, ობიექტურობის თვალსაზრისით. გაირკვა, რომ სამუშაოს მიმდინარეობის პერიოდში ნალექიანი დღეების რაოდენობა რეგიონის საშუალო მაჩვენებლის ფარგლებშია, რაც დასტურდება სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ მონაცემებით. შესაბამისად, უამინდობა არ უნდა გამხდარიყო მიწოდების ვადის გაზრდის საფუძველი. ხელშეკრულების ცვლილების მეორე მიზეზია სამუშაოების ცვლილება ქუჩების მიხედვით. კერძოდ, ჯავახიშვილის ქუჩაზე საჭირო გახდა ასფალტის ძველი საფარის მოხსნის და მოასფალტების სამუშაოების დამატება. ამასთანავე, ანალოგიური სამუშაოები აღარ განხორციელდა ჭონქაძის ქუჩასა და I ჩიხში. შეიცვალა ასევე და ძირითადად შემცირდა ცხველამის ქუჩაზე ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობები. ასევე არ საჭიროებდა მიწოდების ვადის ცვლილებას სამუშაოს ტექნიკური მიზეზი – საკანალიზაციო მილის სიგრძის 40 მეტრით გაზრდა. აღსანიშნავია რომ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ყველა ცვლილება განხორციელდა გაუთვალისწინებელი სამუშაოებისა და სამშენებლო ეკონომიის ხარჯზე და ხელშეკრულების ღირებულება არ გაზრდილა. შესაბამისად, აღნიშნული მიზეზებით მიწოდების ვადის გაზრდა ვერ ჩაითვლება ობიექტურ გარემოებად. ამდენად, მუნიციპალიტეტმა სამუშაოების შესრულებისათვის განსაზღვრული 3 თვიანი პერიოდი დამატებით 115 დღით გაზარდა და ამისათვის სუბიექტური ფაქტორები გამოიყენა.

შპს „ფუძემ“ სამუშაოები 27 ოქტომბერს დაასრულა. მიმწოდებელს დაერიცხა 1.1 ათასი ლარის საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების პირველი ცვლილებით განსაზღვრული ვადის გადაცილებისათვის. თუ მუნიციპალიტეტი არ შეცვლიდა სამუშაოების მიწოდების ვადას, მიმწოდებელს დამატებით დაერიცხებოდა 121.3 ათასი ლარის საჯარიმო სანქცია.

აღსანიშნავია, რომ შპს „ფუძე“ პარალელურად აწარმოებდა ქ. კასპის სხვა ქუჩების საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის და მოწყობის სამუშაოებსაც⁶. კერძოდ, ტენდერში გამარჯვებულ საწარმოსთან მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა 2016

⁵ SPA160005236. ხელშეკრულება №48.

⁶ SPA160005294. ხელშეკრულება №55.

წლის 20 აპრილს, ღირებულებით 600.0 ათასი ლარი. სამუშაოების დასრულებისა და დადებითი ექსპერტიზის წარმოდგენის ვადად განსაზღვრული იყო 2016 წლის 19 ივლისი.

მიმწოდებელმა უამინდობის გამო ვადების კორექტირება მოითხოვა ხელშეკრულების დადებიდან 26-ე დღეს, როცა სამუშაოების შესასრულებლად კიდევ 2 თვე ჰქონდა დარჩენილი. მიუხედავად იმისა, რომ ნალექიანი დღეების რაოდენობა სამშენებლო პერიოდში ნორმის ფარგლებში იყო, მუნიციპალიტეტმა მიწოდების ვადა 2 თვით გაზარდა. სამუშაოები 16 სექტემბერს დასრულდა და მიწოდების ვადის უცვლელობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაერიცხებოდა 141.6 ათასი ლარის საჯარიმო სანქცია.

საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოების დაგვიანების რეალური მიზეზი იყო ის, რომ შპს „ფუძე“ ვერ ასწრებდა სამუშაოების დადგენილ ვადებში შესრულებას ერთდროულად ორივე ხელშეკრულებისათვის. ნაცვლად დაჯარიმებისა, მუნიციპალიტეტი შემსრულებელს უზრდიდა სამუშაოების მიწოდების ვადას, რითაც მოსახლეობამ დადგენილ დროში ვერ მიიღო კუთვნილი მატერიალური სიკეთე. ამასთანავე, ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის უარესდებოდა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მიწოდების ვადების თავიდანვე მეტი ხანგრძლივობით განსაზღვრა გაზრდიდა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების რაოდენობას და მეტი ეკონომიის მიღების შესაძლებლობას.

სოფელ გუდალეთი-ვარჯაანის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. 2017 წელს მუნიციპალიტეტმა ტენდერის საშუალებით შეისყიდა სოფელ გუდალეთი-ვარჯაანის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები⁷. გამარჯვებულ საწარმოსთან – შპს „საქმილსადენმშენი“ ხელშეკრულება გაფორმდა 2017 წლის 16 აგვისტოს, ღირებულებით 213.3 ათასი ლარი. სამუშაოების დასრულებისა და დადებითი ექსპერტიზის წარმოდგენის ვადად განსაზღვრული იყო 2017 წლის 13 ნოემბერი. მიწოდების ვადის დასრულებამდე 3 დღით ადრე მიმწოდებელმა გამგეობას მიმართა სამუშაოების დასრულების ვადის გადაწევის თხოვნით. ვადის გაზრდის საფუძველია სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ წერილი ნალექიანი დღეების რაოდენობის შესახებ. მუნიციპალიტეტი დაეთანხმა მოთხოვნას და სამუშაოების დასრულების ვადა 4 დეკემბრამდე გააგრძელა.

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა მეტეოსადგურის მონაცემები 2014-2016 წლებისათვის, რომლის მიხედვითაც ნალექიანი დღეების რაოდენობა სამუშაო პერიოდში რეგიონის საშუალო მაჩვენებლის ფარგლებშია. შესაბამისად, ეს მოტივი მუნიციპალიტეტს მიწოდების ვადის გაზრდისათვის არ უნდა გამოეყენებინა. გარდა ამისა, მშენებლობის პროცესში შედგენილი ფარული სამუშაოების აქტების შედგენის თარიღები იძლევა

⁷ NAT170007042. ხელშეკრულება №126.

ინფორმაციას, რომ შპს „საქმილსადენშენი“ მუშაობდა მათ შორის ნალექიანი დღეების განმავლობაშიც და მშენებლობა არ შეფერხებულა. აღსანიშნავი ის გარემოება, რომ ფარული სამუშაოების აქტს ხელს აწერს როგორც მიმწოდებლის, ისე შემსყიდველის წარმომადგენელი და შესაბამისად, მუნიციპალიტეტისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ უამინდობა არ იწვევდა მიმდინარე სამუშაოების სრულ შეჩერებას.

ამდენად, ნალექიანი დღეების გამო ვადის გადაწევის მოტივი ვერ ჩაითვლება ობიექტურ გარემოებად. შესაბამისად, მუნიციპალიტეტს მიმწოდებლისათვის არ უნდა გადაეწია სამუშაოების დასრულების ვადა და გავერცელებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელში კასპის მუნიციპალიტეტი საჯარიმო სანქციის მოცულობას ძირითადად ადგენდა ხელშეკრულების ღირებულების 0.4%-ით, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. 2017 წელში გაფორმებული ხელშეკრულებების დიდი ნაწილისათვის ჯარიმა იანგარიშება ხელშეკრულების ან გეგმა-გრაფიკის შეუსრულებელი ვალდებულების 0.02%-ით. სოფელ გუდალეთი-ვარჯაანის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმწოდებელმა 4 დეკემბერს დაასრულა. იმ შემთხვევაში, თუკი შემსყიდველი არ გაზრდიდა მიწოდების ვადას, სანქციების სიმცირის გამო, შემსრულებელს 21 დღის ვადაგადაცილებისათვის დაერიცხებოდა მხოლოდ 200 ლარამდე ჯარიმა.

სოფელ გოსტიბე-ცხავერის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები. კასპის მუნიციპალიტეტმა ანალოგიურად მცირე საჯარიმო სანქციები (0.02%) დააწესა სოფელ გოსტიბე-ცხავერის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის⁸. კერძოდ, გამარჯვებულ საწარმოსთან – შპს „სამშენებლო-სამონტაჟო საექსპლოატაციო საწარმო ჩელიაბინსკტრანსსიგნალი“ ხელშეკრულება გაფორმდა 2016 წლის 13 ოქტომბერს, ღირებულებით 625.5 ათასი ლარი. სამუშაოების დასრულებისა და დადებითი ექსპერტიზის წარმოდგენის ვადად განსაზღვრული იყო 2016 წლის 31 დეკემბერი.

მხარეთა შეთანხმებით, სამუშაოების დასრულების ვადა კლიმატური პირობების გამო 2-ჯერ შეიცვალა და გაგრძელდა 2017 წლის 31 ივლისამდე. მიმწოდებელს სამუშაოების დასრულების ვადა ჯამში გაეზარდა 7 თვით (2016 წლის 31 დეკემბრიდან 2017 წლის 31 ივლისამდე). ამ შემთხვევაშიც, ფორსმაჟორული სიტუაცია არ ფიქსირდება. მუნიციპალიტეტს არ უნდა გაეზარდა მიწოდების ვადა და უნდა გამოეყენებინა საჯარიმო სანქციები.

⁸ SPA160023766. ხელშეკრულება №120.

მიმწოდებელმა სამუშაოები 2017 წლის 31 ივლისს დაასრულა. მუნიციპალიტეტი ვერ აკონტროლებდა სამუშაოების გეგმა-გრაფიკის შესრულებას და მიწოდების ვადას ზრდიდა სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით. ხელშეკრულების განსაზღვრული თავდაპირველი ვადის ამოწურვისას, მიმწოდებელს შეუსრულებელი ჰქონდა 300 ათას ლარზე მეტი სამუშაოები (ხელშეკრულების ღირებულების 48%). თუკი მუნიციპალიტეტი არ გაზრდიდა სამუშაოს მიწოდების ვადას, 7 თვის დაგვიანებისათვის შემსრულებელს დაერიცხებოდა მხოლოდ 9.0 ათას ლარამდე პირგასამტეხლო, საჯარიმო სანქციების სიმცირის გამო.

დასკვნა

ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის კასპის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყენებული საჯარიმო სანქციის მინიმალური ოდენობა – 0.02% ვერ უზრუნველყოფდა შესყიდვის ობიექტების დაგვიანებით მიწოდების პრევენციას და მუნიციპალიტეტის ინტერესების დაცვას. კერძოდ, საწარმოებს ექმნებათ შესაძლებლობა მიწოდების ვადის მნიშვნელოვანი დარღვევის შემთხვევაშიც კი მინიმალური დანახარჯებით შეასრულონ სახელშეკრულებო პირობები, რითაც ზარალდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობა.

კასპის მუნიციპალიტეტმა ზოგიერთი სამუშაოს მიწოდების ვადები გაზარდა დაუსაბუთებლად, სუბიექტური ფაქტორების გამო, რამაც მისი როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის პირობების გაუარესება გამოიწვია. არსებობს რისკი, რომ მიწოდების ვადების გაზრდის მოტივს საჯარიმო სანქციების გაუზრდელებლობა წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ ხარვეზი დაფიქსირებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა აუდიტის ანგარიშშიც. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა სათანადო რეაგირება არ მოახდინა და განმეორებით დაუშვა სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანოს მიერ გამოვლენილი და აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოება.

რეკომენდაცია №1: მუნიციპალიტეტის მერიამ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების ცვლილება არ განახორციელოს დაუსაბუთებელი გარემოებებით და გაითვალისწინოს მხოლოდ ობიექტური და ფორსმაჟორული საფუძვლების არსებობა. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ვადებისა და სხვა პირობების დარღვევისათვის, გაავრცელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. ამასთანავე, ხელშეკრულების პირობები განსაზღვროს იმგვარად, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული მისი, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესი. მათ შორის, გამოიყენოს საჯარიმო სანქციების ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტების მიწოდების დაგვიანების პრევენციას. შედეგად, დროულად მიიღება ის პროდუქტი, რომელიც დაგეგმილია ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისათვის და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს

მიმწოდებლებზე საჯარიმო სანქციის დაურიცხაობის ყველა ფაქტი, გამოავლინოს გამომწვევი მიზეზები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები იმ პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებმაც განმეორებით დაუშვეს წინა აუდიტის ანგარიშში ასახული დარღვევები.

უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები

კრიტერიუმი: შემსყიდველმა ორგანიზაციამ შესყიდვის პროცედურები უნდა დაგეგმოს და განახორციელოს იმგვარად, რომ მიიღოს დახარჯული თანხების შესაბამისი რაოდენობისა და შესაფერისი ხარისხის პროდუქტი. ინფრასტრუქტურული სამუშაოების ეფექტიანად განხორციელების აუცილებელ პირობას ხელშეკრულების პირობებისა და მოთხოვნების კვალიფიციური განსაზღვრა და მათ დაცვაზე სათანადო კონტროლის მექანიზმების არსებობა წარმოადგენს. პროექტის შესრულებაზე შემსყიდველი ორგანიზაციისაგან დანერგილმა კონტროლის პროცედურებმა უნდა უზრუნველყოს ხარისხიანი სამუშაოების ჩაბარება. კონტროლის პროცედურები უნდა ვრცელდებოდეს პროდუქტის მიღების სრულ ციკლზე: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვიდან ობიექტის ექსპერტული შეფასების სახეობისა და მიღება-ჩაბარების წესის განსაზღვრამდე.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად⁹, სამუშაოს შესყიდვისას სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს შესასრულებელი სამუშაოს გონივრულ საგარანტიო ვადას. შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენლები ობიექტის ინსპექტირებას ახორციელებენ ნებისმიერ დროს.

გამოვლენილი გარემოება: კასპის მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასა და სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს. ამასთანავე, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით გამოასწოროს საგარანტიო პერიოდში წარმოქმნილი ხარვეზები და შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანი.

აუდიტის ჯგუფმა, პასუხისმგებელ პირებთან ერთად, დაათვალიერა კასპის მუნიციპალიტეტის მიერ 2016-2017 წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები. ვიზუალური შესწავლის შედეგად გამოვლინდა არასწორად დაგეგმილი და უხარისხოდ შესრულებული ცალკეული სამუშაოები, რომლებზეც ხელშეკრულებით განსაზღვრული საგარანტიო ვადები ამოწურული არ იყო. კერძოდ:

⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 07.04.2011 №9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 19, პუნქტი 6.

1. 2016-2017 წლებში კასპის მუნიციპალიტეტმა 3 ხელშეკრულების ფარგლებში შეისყიდა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის სამუშაოები¹⁰. ხელშეკრულებების ჯამური საკასო ხარჯი 1,266.8 ათასი ლარია. ხელშეკრულებების პირობებით, საექსპერტო დასკვნა სამუშაოების შესაბამისობისა და ხარისხის შესახებ მოთხოვნილია შუალედური მიღება-ჩაბარების ეტაპზეც, რაც არ არის წარმოდგენილი. ექსპერტიზა ჩატარებულია სამუშაოების დასრულების შემდეგ. ამასთან, მიმწოდებლების მიერ საექსპერტო დაწესებულების ინსპექტირების ამოცანად არ არის განსაზღვრული სამუშაოებისა და მასალების ხარისხის შემოწმება.

ბაგა-ბაღების დათვალიერებისას გამოვლინდა იატაკის, ნაწილობრივ ჭერისა და კედლის ზედაპირების დაზიანების შემთხვევები:

სურათი 3: №1 ბაგა-ბაღი




სურათი 4: №2 ბაგა-ბაღი



სურათი 3: №3 ბაგა-ბაღი



სურათი 4: №5 ბაგა-ბაღი



აღსანიშნავია, რომ ბაღებში დაზიანებული და გაცვეთილია ინტენსიურად გამოყენებული ოთახების ლამინატის იატაკები, რაც სპეციფიურია ამ ტიპის დაწესებულებებისათვის. კასპის მუნიციპალიტეტმა ბაგა-ბაღების რეაბილიტაციის სამუშაოს დაგეგმარებისას არ გაითვალისწინა და არ მოითხოვა შენობის სწრაფცვეთადი ნაწილების შესაფერისი ხარისხობრივი მაჩვენებლები; დაეყრდნო ისეთ საექსპერტო დასკვნებს, რომლებშიც

¹⁰ 2016 წლის №51, №62 ხელშეკრულებები, მიმწოდებელი - უცხოური საწარმოს ფილიალი „ფერლით-ჯორჯია“; 2017 წლის №90 ხელშეკრულება, მიმწოდებელი - შპს „BREND STILE“.

სამუშაოს შესრულების ხარისხზე ექსპერტის მიმართ კითხვა არ დასმულა; გარდა ამისა, მუნიციპალიტეტს არ მიუმართავთ მიმწოდებლისთვის საგარანტიო პერიოდში უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს გამოსწორების მოთხოვნით.

2. 2016 წელს კასპის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა სოფელ ფერმასთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციისა და ქ. კასპში პაატას ქუჩის ასფალტირების სამუშაოები¹¹. ხელშეკრულებების საკასო ხარჯი 1,295.7 ათასი ლარია. ინფრასტრუქტურული ობიექტების დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ გზების ძირითადი ნაწილზე ვიზუალური დეფექტები არ შეინიშნება. ამასთან, ცალკეულ მონაკვეთებზე დაზიანებულია ასფალტის საფარი.

სურათი 5: სოფელ ფერმასთან მისასვლელი გზა



სურათი 6: პაატას ქუჩა ქ. კასპში



ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა შეადგენს სამუშაოს მიღებიდან 3 წელს. ამ პერიოდის განმავლობაში, რაიმე წუნის (ნაკლოვანებების, დეფექტების) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით შეასრულოს აღდგენითი სამუშაოები. მუნიციპალიტეტის შესაბამის პასუხისმგებელ პირებს არ მიუმართავთ მიმწოდებლისთვის სოფელ ფერმასთან მისასვლელი გზის უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს გამოსწორების მოთხოვნით. მუნიციპალიტეტში დანერგილმა კონტროლის მექანიზმებმა ვერ უზრუნველყო არსებული დარღვევა-ნაკლოვანებების დროული გამოვლენა და სათანადო რეაგირება.

3. 2016 წელს კასპის მუნიციპალიტეტმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სოფელ ხვითში მოაწყო სპორტული მოედანი¹². სამუშაოები ითვალისწინებდა 240 მ³ მიწის მოჭრას და მოშანდაკებას მექანიზირებული წესით. ტერიტორია შემოღობილია ლითონის ბადით, რომელიც დამაგრებულია ლითონის ჩაბეტონებულ ბოძებზე. ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის საექსპერტო დადასტურებას. სამუშაოების შესრულების საკასო ხარჯი 7.7 ათასი ლარია.

¹¹ ხელშეკრულება №47, მიმწოდებელი - შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“; ხელშეკრულება №99, მიმწოდებელი - შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“.

¹² SPA160027641. ხელშეკრულება №133.

სურათი 7: სოფელ ხვითის სპორტული მოედანი



ობიექტის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ სპორტული მოედნის ერთ მხარეს ლითონის ღობე მნიშვნელოვნად გადახრილია, რაც გამოწვეულია შემდეგი მიზეზით: ლითონის ბოძები მოწყობილია ნაყარზე, რომელიც მიწის მოჭრით, გადაადგილებით და მოსწორებით არის მიღებული. ხარჯთაღრიცხვა არ ითვალისწინებდა მიწის მოტკეპნას, ან საყრდენი კედლის მოწყობას ინერტული მასალის მოზვინვის ადგილზე. ასევე არ არის გათვლილი ბოძების დაკავშირება ბეტონის საფუძვლით, რაც კონსტრუქციის მდგრადობას გაზრდიდა. ამდენად, მუნიციპალიტეტმა პროექტი დაგეგმა და შეასრულა ისეთი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით, რომელმაც ვერ უზრუნველყო ობიექტის მდგრადობა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

დასკვნა

კასპის მუნიციპალიტეტში დანერგილი კონტროლის სისტემა ზოგ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურული სამუშაოების დადგენილ ხარისხს. მუნიციპალიტეტი ყველა შესყიდვისათვის არ ითხოვს შესრულებული სამუშაოების ხარისხის საექსპერტო შესწავლას. მუნიციპალიტეტში არ მუშაობს საგარანტიო პერიოდში არსებული ყველა ხარვეზის გამოვლენისა და გამოსწორების მექანიზმი, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესაბამისობას სრული საგარანტიო ვადის მანძილზე. შესრულებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში დაშვებული ნაკლოვანებების შედეგად, კასპის მუნიციპალიტეტში 2016-2017 წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილი დაზიანებულია, რითაც სრულად ვერ იქნა მიღწეული პროგრამით გათვალისწინებული მიზნები, მისი ექსპლუატაციის მთელ პერიოდში.

რეკომენდაცია №2: მუნიციპალიტეტის მერიამ, სამუშაოების შესყიდვისას, დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები და განახორციელოს ისეთი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალი რწმუნების მიღებას, რამდენად ხარისხიანად შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები. მერიამ რეგულარულად აწარმოოს შესყიდული სამშენებლო ობიექტების მონიტორინგი და ხარვეზების

გამოვლენის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო ღონისძიებები, არსებული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების მიწოდებას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ასევე, მუნიციპალიტეტმა გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომელთაც ევალებოდათ უხარისხო სამუშაოების გამოვლენა და მათზე რეაგირება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელებული შესყიდვების ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვის პროცესს ორგანიზება გაუწიოს იმგვარად, რომ განხორციელებული პროექტებისა და პროგრამების შედეგად მიღებული მატერიალური სიკეთე და დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი თანაბრად აისახოს მოსახლეობაზე და დააკმაყოფილოს მათი კონკრეტული საჭიროებები. პროექტების დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა გაითვალისწინოს საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსების რაოდენობა და შესაბამისად განსაზღვროს მიზნის მიღწევის შესაძლებლობა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ მიმართულია სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. პროგრამის შესაბამისად, გამოყოფილი თანხა უნდა გამოიყენებოდეს ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციის ან/და კეთილმოწყობას, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვის, ან/და გრძელვადიანი სარგებლობის ტექნიკის შესყიდვა-აღჭურვის მიზნით. განსახორციელებელი პროგრამის დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი უნდა აისახოს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობაზე¹³.

გამოვლენილი გარემოებები:

პროგრამისათვის გამოყოფილი თანხების ათვისება: „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ შესწავლით გამოვლინდა, რომ კასპის მუნიციპალიტეტმა ორგანიზაციულად ვერ უზრუნველყო კონკრეტული სოფლებისათვის დადგენილ პერიოდში მიეწოდებინა საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტებით დადგენილი და მათთვის განკუთვნილი სერვისები, კერძოდ:

2016 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, კასპის მუნიციპალიტეტს ნაშთად ერიცხებოდა 262.3 ათასი ლარი, რაც „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ წინა წლების აუთვისებული თანხაა. 2016 წელს მუნიციპალიტეტს პროგრამის ფარგლებში გამოეყო 993.7 ათასი ლარი.

¹³ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №54 დადგენილება.

აუდიტის ობიექტმა ვერც 2016-2017 წლებში შეძლო საჭირო რაოდენობის ხელშეკრულებების გაფორმება და ასიგნებების სრულად ათვისება. კერძოდ, პროგრამის საკასო ხარჯმა 2016 წელს 700.5 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, 2017 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან“ დაუხარჯავი დარჩა 555.5 ათასი ლარი. 2017 წელს პროგრამიდან დარჩენილი თანხებიდან მუნიციპალიტეტმა აითვისა 315.1 ათასი ლარი. იმ პირობებში, როცა სოფლებში მრავალი მოუგვარებელი საკითხია, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს პროგრამის ნაშთის სახით ანგარიშზე ერიცხებოდა 240.4 ათასი ლარი.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ არსებული ნაშთების მიუხედავად, მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო შესყიდვის განხორციელება და ზოგიერთი დაუსრულებელი პროექტის დაფინანსება. მაგალითად, 2016 წლის №116 ხელშეკრულების ფარგლებში სოფელ საკორინთლოში სარიტუალო სახლის მშენებლობაზე დახარჯულია 6.8 ათასი ლარი. შენობა დაუსრულებელია და არ ფუნქციონირებს – არ მიეწოდება ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი. ამასთან, 2017 წლის ბოლოს სოფელს აუთვისებელი დარჩა 3.9 ათასი ლარი, რომელიც არ მიმართულა სამუშაოების გასაგრძელებლად. 2016 წლის №94 ხელშეკრულებით სოფელ სასირეთში სარიტუალო დარბაზის მშენებლობის გაგრძელებაზე დახარჯულია 12.3 ათასი ლარი. შენობა დაუსრულებელია და არ ფუნქციონირებს. სოფლის აუთვისებელი თანხა – 3.7 ათასი ლარი არ მიმართულა სამუშაოების გასაგრძელებლად.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული პროექტების დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ სოფელ ახალციხეში ინახება პოლიეთილენის მილები, რომლებიც შესყიდულია 2015 წელს¹⁴. ხელშეკრულების საკასო ხარჯი 3.4 ათასი ლარია და მიწოდებულია 2407 მეტრი სიგრძის პოლიეთილენის მილები. მუნიციპალიტეტს არ გააჩნია მილების გამოყენების გეგმა. ამდენად, პროგრამული საბიუჯეტო ასიგნებები დახარჯულია არაეფექტიანად და არ არის დამდგარი დაგეგმილი შედეგი.

სურათი 8. გამოუყენებელი მილები



¹⁴ CMR150001663.

სარიტუალო სახლების მშენებლობა: 2016-2017 წლებში კასპის მუნიციპალიტეტმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დააფინანსა სოფლების – სასირეთის, საქადაგიანოს, ქვემო გომის, ნოსტეს, საკორინთლოს, ჩობალაურის, თვაურების, ქვემო ჭალის, სამთავისა და გრაკალის სარიტუალო დარბაზების რეაბილიტაციის სამუშაოები (მშენებლობის გაგრძელება, ინვენტარის შესყიდვა, ტერიტორიის შემოღობვა). სულ აღნიშნულ შესყიდვებზე დახარჯულია 88.2 ათასი ლარი¹⁵.

აუდიტის ჯგუფმა რიტუალების სახლები დაათვალიერა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად. გამოვლინდა, რომ სოფლების – ჩობალაურის, სამთავისის, საკორინთლოს, გამდლიწყაროს, თვაურების, სასირეთისა და ნოსტეს სარიტუალო დარბაზები არ ფუნქციონირებს. კერძოდ, სამუშაოები არ არის დასრულებული. სოფელ ჩობალაურის სარიტუალო დარბაზი გამოყენებულია არადაანიშნულებისამებრ; სოფელ სამთავისის სარიტუალო დარბაზის ინვენტარის ნაწილი დროებით სარგებლობაში გადაცემულია სხვადასხვა სუბიექტზე¹⁶.

სურათები 9-10: სოფელ ჩობალაურის სარიტუალო დარბაზი



სურათები 11-12: სოფელ სამთავისის სარიტუალო დარბაზი



¹⁵ 2016 წელი – ხელშეკრულებები №94, №116; 2017 წელი – ხელშეკრულებები №20, №54, №65, №67.

¹⁶ სარგებლობაში გადაცემა დოკუმენტურად არ არის გაფორმებული.

სურათები 13-14: სოფელ საკორინთლოს სარიტუალო დარბაზი



სურათები 15-16: სოფელ გამდლისწყაროს სარიტუალო დარბაზი



სურათები 17-18: სოფელ თვაურების სარიტუალო დარბაზი



სურათები 19-20: სოფელ სასირეთის სარიტუალო დარბაზი



სურათები 21-22: სოფელ ნოსტეს სარიტუალო დარბაზი



აღნიშნული სოფლების სარიტუალო დარბაზების მშენებლობა ხანგრძლივად მიმდინარეობდა და თანხები გამოიყოფოდა ნაწილ-ნაწილ, პროგრამის ყოველწლიური დაფინანსების ფარგლებში. კერძოდ, დარბაზების რეაბილიტაციის სამუშაოების გაგრძელებაზე 2016-2017 წლებში დახარჯულია სულ 69.9 ათასი ლარი, ხოლო წინა წლების ჩათვლით - 360.2 ათასი ლარი¹⁷.

დასკვნა

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ საერთო ხარვეზებიდან გამომდინარე, კასპის მუნიციპალიტეტის მიერ პროგრამის განხორციელების პროცესი ხასიათდება სისტემური ნაკლოვანებებით: მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად რჩებოდა ანგარიშზე პროგრამისათვის განკუთვნილი მნიშვნელოვანი მოცულობის აუთვისებელი თანხები. შესაბამისად, მოსახლეობა დაგვიანებით იღებდა პროგრამით განსაზღვრულ მატერიალურ სიკეთეს; მუნიციპალიტეტი ვერ უზრუნველყოფდა ზოგიერთი პროექტის მშენებლობის დასრულებას იმ პირობებში, როცა კონკრეტული სოფლისათვის განკუთვნილი თანხები აუთვისებელი იყო; სარიტუალო დარბაზების რეაბილიტაციის სამუშაოების გაგრძელებაზე 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტმა არაეფექტიანად დახარჯა სულ 69.9 ათასი ლარი, კერძოდ, ობიექტები არ ფუნქციონირებს.

რეკომენდაცია №3: ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას, მუნიციპალიტეტის მერიამ დახვეწოს ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები. შეისწავლოს მოსახლეობის საჭიროებები, განსახორციელებელი პროექტების მოსალოდნელი შედეგები, შესაძლო ხელშემშლელი ფაქტორები და აღნიშნულის გათვალისწინებით, პრიორიტეტულად განსაზღვროს ისეთი პროექტების განხორციელება, რომლებიც გააუმჯობესებს მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობას; უკვე შესყიდულ ობიექტებს მუნიციპალიტეტის მერიამ შესაძლო მოკლე ვადაში მოუძებნოს ფუნქციური დატვირთვა ან განკარგოს ისინი სხვა ფორმით, რათა

¹⁷ სასირეთი - 81.2 ათასი ლარი, სამთავისი - 67.8 ათასი ლარი, ნოსტე - 29.1 ათასი ლარი, თვაურები - 46.5 ათასი ლარი, გამდლისწყარო - 27.5 ათასი ლარი, ჩოხალაური - 61.4 ათასი ლარი, საკორინთლო - 46.7 ათასი ლარი.

უზრუნველყოს შექმნილი მატერიალური სიკეთის მოსახლეობისთვის დროული და ხარისხიანი მიწოდება.

ფინანსური რესურსების მართვაში არსებული ხარვეზები

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კასპის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 2,758.3 ათასი ლარი. მათ შორის, 2016 წლის ბიუჯეტით დაიგეგმა 2,748.3 ათასი ლარის გამოყენება. 2016 წელს ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების ფაქტობრივმა გამოყენებამ (კლებამ) შეადგინა 241.5 ათასი ლარი და წლის ბოლოს დაფიქსირდა ნაშთი - 2,516.8 ათასი ლარი. აღნიშნული ფულადი სახსრებიდან 1,298.7 ათასი ლარი შეადგენს თავისუფალ ნაშთს. მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით დაიგეგმა 2,437.5 ათასი ლარის გამოყენება. ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების ფაქტობრივმა კლებამ შეადგინა 2,076.0 ათასი ლარი და წლის ბოლოს დაფიქსირდა ნაშთი - 440.8 ათასი ლარი. აქედან, 56.5 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.

დასკვნა

2016 წლის ბოლოს კასპის მუნიციპალიტეტს აუთვისებელი დარჩა მნიშვნელოვანი მოცულობის თანხები. აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების მართვის ხარვეზებზე. შედეგად, მოსახლეობამ დროულად ვერ ისარგებლა იმ სიკეთით, რაც შესაძლოა მიწოდებულ იქნეს ბიუჯეტში მობილიზებული სახსრების დაგეგმილი და ეფექტიანი გამოყენებით.

რეკომენდაცია №4: ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტმა საკუთარ ანგარიშზე არსებული თავისუფალი ფულადი სახსრები მიმართოს სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად ან დაუსრულებელი პროექტების გასაგრძელებლად. ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არ დაუშვას თავისუფალი ნაშთის უკონტროლო დაგროვება და თანხები მაქსიმალურად გამოიყენოს მოსახლეობის სასიკეთოდ.

შრომის ანაზღაურება

ჯერადობის დარღვევით გაცემული პრემიები

კრიტერიუმი: საჯარო მოსამსახურეს საჯარო სამსახურში საქმიანობის პერიოდში მიეცემა შრომის ანაზღაურება, რომელიც მოიცავს ხელფასებს და სოციალურ შენატანებს. ხელფასები გაიცემა თანამდებობრივი სარგოს, პრემიის, კანონით გათვალისწინებული დანამატების, ჰონორარის და სხვა სახით¹⁸.

¹⁸ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება.

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2014 წლის ნოემბერში მიიღო დადგენილება „კასპის მუნიციპალიტეტში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“¹⁹. დადგენილების შესაბამისად, დასაქმებულ პირზე ერთჯერადად გაცემული პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული პირის თანამდებობრივ სარგოს. საჯარო მოხელეზე პრემია შეიძლება გაიცეს კვარტალში ერთხელ. პრემია შესაძლებელია გაიცეს, ასევე, არა უმეტეს წელიწადში სამჯერ, საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ უქმე დღეებთან დაკავშირებით, ამ წესით დადგენილი ზღვრული ოდენობისა და პრინციპების დაცვით.

გამოვლენილი გარემოება: წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, 2016 წელს პრემიის სახით კასპის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებზე გაიცა 385.1 ათასი ლარი. აქედან, მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაცემულია 102.1 ათასი ლარი, გამგეობაში - 269.1 ათასი ლარი, ხოლო სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში - 13.9 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტების შესაბამისად, პრემიის გაცემა შესაძლებელია კვარტალში ერთხელ. შესაბამისად, საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულმა წლის განმავლობაში პრემია შესაძლებელია აიღოს არა უმეტეს 4-ჯერ. კასპის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) საკრებულოს სამართლებრივი აქტის მოთხოვნა არ გაითვალისწინა. კერძოდ, I კვარტალში პრემია 2-ჯერ აიღო 7-მა მოხელემ, II კვარტალში – 22-მა მოხელემ, III კვარტალში – 44-მა მოხელემ, ხოლო IV კვარტალში – 24-მა მოხელემ. სულ კვარტალში განმეორებით გაცემულმა პრემიამ 2016 წელში შეადგინა 69.7 ათასი ლარი.

დასკვნა

კასპის მუნიციპალიტეტმა დაარღვია პრემიის ჯერადობის დაწესებული ზღვარი. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულომ არ დაიცვა მის მიერვე გამოცემული სამართლებრივი აქტის მოთხოვნა. პრემიის სახით სულ 69.7 ათასი ლარი გაცემულია საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმების შეუსაბამოდ.

არასწორად დასაბუთებული დანამატები

კრიტერიუმი: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო მოხელეს სახელფასო დანამატი ეძლევა: საკლასო ჩინის/კლასის შესაბამისად; ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით; დამატებითი ფუნქციების დაკისრებისას²⁰.

¹⁹ საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის №58 დადგენილება.

²⁰ შესაბამის პერიოდში მოქმედი რეგულაციების მიხედვით.

გამოვლენილი გარემოება: კასპის მუნიციპალიტეტი, გარდა საპრემიო თანხებისა, საჯარო მოსამსახურეებზე გასცემდა დანამატს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2017 წელს სულ გაცემულია 14.4 ათასი ლარის დანამატი. მათ შორის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით - 0.6 ათასი ლარი, ხოლო გამგებლის ბრძანებით - 13.8 ათასი ლარი. 11.7 ათასი ლარის დანამატის გაცემის მოტივად მითითებულია სამსახურებრივ მოვალეობათა აქტიურად შესრულება; გაწეული სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულება, წახალისება და მოტივაციის გაზრდა. სამართლებრივ აქტებში მითითებული გარემოებები შეიძლება წარმოადგენდეს პრემიის და არა დანამატის გაცემის პირობას.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის ბრძანებები დანამატის შესახებ არ შეიცავს ინფორმაციას საჯარო მოსამსახურის ზეგანაკვეთური მუშაობის, საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოების შესახებ. ამდენად, დანამატის გაცემის ობიექტური საჭიროება და მიზანშეწონილობა სათანადოდ არ არის დასაბუთებული და არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საქონელი და მომსახურება

შტატგარეშე მოსამსახურეების დაქირავებისას გამოვლენილი კანონშეუსაბამოებები

კრიტერიუმი: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მუნიციპალიტეტს, თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას, გარდა შტატით გათვალისწინებული პირებისა, შეუძლია დაიქირაოს შტატგარეშე მოსამსახურეები. შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნულია ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში, არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად²¹.

გამოვლენილი გარემოებები:

მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად დაქირავება. 2016-2017 წლებში კასპის მუნიციპალიტეტმა შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებაში დახარჯა 310.3 ათასი ლარი. აქედან, სახელშეკრულებო თანხაა 244.3 ათასი ლარი, პრემია - 64.6 ათასი ლარი და დანამატი - 1.4 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტმა შრომითი ხელშეკრულებები გააფორმა და შტატგარეშე მოსამსახურეები დაიქირავა მათ შორის შემდეგი ფუნქციების შესასრულებლად:

- საკრებულოს აპარატის შტატგარეშე მოსამსახურე;
- ადმინისტრაციული სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურე;

²¹ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 8. 2017 წლის 1 ივლისამდე მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

- ზედამხედველობის სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურე;
- ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურე;
- საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურე.

მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული აღნიშნული შრომითი ხელშეკრულება არ შეიცავს დროში განსაზღვრულ დავალებას. ხელშეკრულებები ძირითადად მოქმედებდა მთელი წლის პერიოდისათვის²² და დაქირავებულის ფუნქცია შტატით განსაზღვრული თანამდებობების ანალოგიურია. კერძოდ, ითვალისწინებდა ისეთ მუდმივ საქმიანობას, რაც მუნიციპალიტეტის ძირითადი საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან არის დაკავშირებული. აღნიშნული წინააღმდეგობაშია შტატგარეშე მოსამსახურის დაქირავების პრინციპთან.

დასკვნა

კასპის მუნიციპალიტეტმა 2016 წელს არასწორი წესით დაიქირავა 11, ხოლო 2017 წელს, აგვისტოს ჩათვლით - 12 შტატგარეშე მოსამსახურე. აღნიშნულ პირებზე 2016-2017 წლებში გაცემულია სულ 180.8 ათასი ლარი. მათ შორის, სახელშეკრულებო ანაზღაურება - 143.1 ათასი ლარი, პრემია - 37.1 ათასი ლარი და დანამატი - 0.6 ათასი ლარი.

პრემია. კასპის მუნიციპალიტეტი შტატგარეშე მოსამსახურეებზე პრემიებს გაცემდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის ბრძანებების საფუძველზე. პრემიის გაცემის პროცესი ხასიათდება შემდეგი ხარვეზებით:

შტატგარეშე მოსამსახურის გასამრჯელო, როგორც წესი, რეგულირდება მხარეებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. სახელშეკრულებო ანაზღაურების მოცულობა მოქმედი კანონმდებლობით არ არის დარეგულირებული²³ და სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს შტატით გათვალისწინებული მოხელის თანამდებობრივ სარგოზე მეტი ან ნაკლები. კანონმდებლობა არ კრძალავს დაქირავებულ პირებზე დამატებითი ანაზღაურების (პრემია) გაცემას, რაც შესაძლოა განისაზღვროს მხარეებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით. პრემია შეიძლება გაიცეს ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების წარმოშობისას, დაკისრებული მოვალეობის განსაკუთრებული ხარისხით შესრულებისათვის და სხვა მსგავს შემთხვევებში, საჯარო დაწესებულების ინტერესებიდან გამომდინარე.

²² ან გრძელდებოდა ხელშეკრულებების მოქმედების ვადა.

²³ საანგარიშო პერიოდში მოქმედი რეგულაციებით.

მუნიციპალიტეტმა 2016-2017 წლებში გაცემული 64.6 ათასი ლარიდან, 31.2 ათასი ლარის პრემია შტატგარეშე მოსამსახურეებზე გასცა სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით, მათ შორის: საკრებულოში- 11.8 ათასი ლარი, ხოლო გამგეობაში - 19.4 ათასი ლარი.

აუდიტის ჯგუფი შეუსაბამოდ მიიჩნევს შტატგარეშე მოსამსახურეების პრემირებას უქმე დღეებთან დაკავშირებით. აღნიშნული არ არის განპირობებული დაქირავებულის საქმიანობის ხარისხით და სირთულით. წლის განმავლობაში ერთი და იმავე დავალების შესრულებისათვის შესაძლებელია დაქირავებული იყოს რამდენიმე შტატგარეშე მოსამსახურე. მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული პრემირების პრინციპის მიხედვით, დამატებით ანაზღაურებას (პრემია) მიიღებს მხოლოდ სადღესასწაულო დღეების პერიოდში დაქირავებული პირები. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს არათანაბარი და არასამართლიანი მიდგომა შტატგარეშე მოსამსახურეების მიმართ. კერძოდ, არასადღესასწაულო პერიოდში დაქირავებული პირი ვერ მიიღებს საპრემიო თანხას. ამასთანავე, დროებით დაქირავებულ პირზე პრემია არ უნდა გაცემოდეს ავტომატურად, როცა არ არსებობს შესაბამისი საფუძველი, რაც მოვალეობის შესრულებას უკავშირდება.

დასკვნა

შტატგარეშე მოსამსახურეების საპრემიო ანაზღაურება – 31.2 ათასი ლარის ოდენობით კასპის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) გასცა სათანადო დასაბუთების გარეშე.

რეკომენდაცია №5: მუნიციპალიტეტის მერიამ მიზანშეწონილია გაატაროს ღონისძიებები ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესებისათვის. ამასთანავე, შრომითი ხელშეკრულებები გააფორმოს მხოლოდ დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად, რაც კონკრეტულად იქნება დადგენილი ხელშეკრულების პირობებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა რაოდენობის ოპტიმიზაციას და საბიუჯეტო თანხების რაციონალურ ხარჯვას.

ავტოპარკის მართვაში გამოვლენილი ხარვეზები

კრიტერიუმი: საბიუჯეტო ორგანიზაციამ ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები უნდა გასწიოს საბიუჯეტო ასიგნებების ეკონომიური და რაციონალური ხარჯვის ვალდებულების დაცვით. მხარჯავი დაწესებულებები, როგორც წესი, ადგენენ საწვავის ხარჯვის ყოველთვიურ ლიმიტებს, რაც ხელს უწყობს საწვავის მოხმარების დაგეგმვასა და ოპტიმიზაციას.

ტრანსპორტის დაზღვევა ავტომანქანების დაზიანებისას ამცირებს გაუთვალისწინებელი ხარჯების რისკებს და დაზღვეულს იცავს ფორსმაჟორული გარემოების შედეგებისაგან.

გამოვლენილი გარემოებები:

საწვავის ლიმიტები. 2016-2017 წლებში კასპის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტრანსპორტისათვის საწვავის გამოყოფის საფუძველია გამგებლის ბრძანება. კერძოდ, გამგებლის 2015 წლის 7 ივლისის №1155 ბრძანებით, საწვავის ყოველთვიური ლიმიტები განსაზღვრულია 7 ერთეული სატრანსპორტო საშუალებისათვის.

გამგებლის ბრძანების შესაბამისად, მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული საწვავის ყოველთვიური მოცულობა ჯამში 2750 ლიტრს შეადგენდა. ლიმიტების მოცულობა 2016-2017 წლებში არ შეცვლილა²⁴. კასპის მუნიციპალიტეტი 2016 წლის თებერვლიდან გადავიდა საწვავით გამართვის „აგაი“ სისტემაზე. „აგაი“ სისტემაში საწვავის ნორმები განსაზღვრულია სპეციალური პროგრამით, რომელიც არ იძლევა საშუალებას კონკრეტულ ავტომობილში ჩაისხას დადგენილ ნორმაზე მეტი საწვავი. გახარჯული საწვავის მოცულობის შესწავლით გამოვლინდა, რომ კასპის მუნიციპალიტეტი არ იცავდა საწვავის ყოველთვიურად დადგენილ ნორმებს. კერძოდ, საწვავის გადახარჯვა გამოიწვია პროგრამით დაწესებულმა უფრო მაღალმა ლიმიტებმა, მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით განსაზღვრულთან შედარებით.

ცხრილი №4. მუნიციპალიტეტის მიერ 2016-2017 წლებში გადახარჯული საწვავი (ლიტრი)

№	ავტომანქანის სახელმწიფო ნომერი	ავტომანქანის/საწვავის განმკარგავი	საწვავის ლიმიტი თვეში	საწვავის ლიმიტი 2016-2017 წლებში	ფაქტობრივი ხარჯი 2016-2017 წლებში	ლიმიტის დარღვევით დახარჯული საწვავი
1	WUW-757	საკრებულოს თავმჯდომარე	400-500	9800	12971	3171
2	WUV-727	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	100-400	3000	4392	1392
3	MOR-707	გამგებლის პირველი მოადგილე	450	10800	11943	1143
ჯამი						5706

დასკვნა

გამგებლის ბრძანებით დაწესებული ლიმიტები მუნიციპალიტეტმა დაარღვია სამი თანამდებობის პირისათვის და სულ 2016-2017 წლებში ლიმიტის ზემოთ დახარჯა 5706 ლიტრი საწვავი. შესაბამისად, ხარჯები გაწეულია საბიუჯეტო ასიგნებების ეკონომიური და რაციონალური ხარჯვის ვალდებულების დაცვის გარეშე.

საწვავის ხარჯვა. 2016-2017 წლებში კასპის მუნიციპალიტეტმა ადმინისტრაციული საჭიროებისათვის დახარჯა სულ 70415 ლიტრი საწვავი. მათ შორის:

- 45909 ლიტრი ჩასხმულია ავტორიზებულ ავტომანქანაში „აგაი“ სისტემით;

²⁴ ლიმიტები დაზუსტდა მერის 2017 წლის 27 ნოემბრის №2557-ს ბრძანებით.

- 22206 ლიტრი ჩასხმულია ნომრიანი და უნომრო პლასტიკური ბარათებით;
- 2300 ლიტრი 2016 წლის იანვარში ჩასხმული ტალონური სისტემით.

აუდიტის ჯგუფმა რისკის შემცველად მიიჩნია და შეისწავლა საწვავის ხარჯვა პლასტიკური ბარათების გამოყენებით. კერძოდ, 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტის გამგებლის განკარგვაში არსებული პლასტიკური ბარათიდან შესყიდულია 3615 ლიტრი დიზელის საწვავი, მათ შორის 2016 წელს – 2645 ლიტრი და 2017 წელს – 970 ლიტრი. ძირითადი ნაწილი – 2305 ლიტრი გაცემულია 2016 წლის სექტემბერ-ოქტომბერში. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საწვავის ხარჯვის შესახებ. კერძოდ, უცნობია კონკრეტულად რა ღონისძიებებზე დაიხარჯა აღნიშნული საწვავი.

გარდა ამისა, 2016-2017 წლებში 2615 ლიტრი ბენზინი ტრანსპორტირებულია გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში და გაცემულია სხვადასხვა მოსამსახურეზე. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტში დასაქმებულები გამოყოფილ საწვავს იყენებდნენ სამსახურებრივი საქმიანობისათვის, სხვადასხვა დავალების შესრულების დროს. აღსანიშნავია რომ, მუნიციპალიტეტში მოქმედი საწვავის ლიმიტი არ ითვალისწინებდა საწვავის გაცემას პირად სარგებლობაში არსებულ ავტომანქანებზე. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი დოკუმენტაცია ადმინისტრაციულ შენობაში ტრანსპორტირებული საწვავის მიღების, გაცემისა და აღრიცხვის შესახებ. კერძოდ, გაურკვეველია რომელი ავტომანქანის გამოყენებით და რა დავალების შესასრულებლად გაიცემოდა საწვავი.

საწვავის ადმინისტრაციულ შენობაში ტრანსპორტირება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2016-2017 წლებში საწვავის მიწოდების კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ საწარმოს კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ გააჩნდა ავტოგასამართი სადგური. მცირე მოცულობის საწვავის ჩასასხმელად გადაადგილება გორის ან მცხეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე არ იყო ეფექტიანი. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს შეეძლო შეემუშავებინა საწვავის ხარჯვის შესაბამისი წესი, რომელიც უზრუნველყოფდა პლასტიკური ბარათებით მიღებული საწვავის ხარჯვის მოწესრიგებას და სათანადო აღრიცხვას.

დასკვნა

კასპის მუნიციპალიტეტმა 2016-2017 წლებში 2615 ლიტრი ბენზინი გასცა კერძო ავტომანქანების მფლობელებზე, რაც სათანადოდ არ არის აღრიცხული; მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა 3615 ლიტრი დიზელის საწვავის მიზნობრივი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

არაეკონომიური ხარჯი. 2017 წლის 12 იანვარს კასპის მუნიციპალიტეტმა გამართივებული შესყიდვის ხელშეკრულება გააფორმა შპს „მათემოტორსთან“, ღირებულებით 4.9 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ავტომანქანა TOYOTA HILUX-ის ტექნიკური მომსახურება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, 2017 წლის 18 თებერვალს ავტომანქანას ჩაუტარდა ტექნიკური სამუშაოები, რომლის ღირებულებამ 1.5 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის, შეიცვალა სატრანსპორტო საშუალების ბამპერი, ჩატარდა სათუნუქე და სამღებრო სამუშაოები – ღირებულებით 1.4 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ ავტომანქანის შეკეთების პერიოდში, კერძოდ 7 თებერვლიდან, კასპის მუნიციპალიტეტს ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული ს.ს. „სადაზღვევო კომპანია უნისონთან“, ავტომანქანა TOYOTA HILUX-ის დაზღვევის შესახებ²⁵. ხელშეკრულების შესაბამისად, მზღვეველი ანაზღაურებდა ავტომობილისათვის გარეგანი ზემოქმედებით მიყენებულ ნებისმიერ დაზიანებას, ავტოსაგზაო შემთხვევას და სხვ. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა არ გამოიყენა ავტომანქანის დაზიანების ანაზღაურების შესაძლებლობა სადაზღვევო კომპანიის მიერ და სარემონტო სამუშაოები შეისყიდა სხვა ხელშეკრულების ფარგლებში²⁶.

აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა მტკიცებულება შესაძლო ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შესახებ, რაც ასევე უარყო მუნიციპალიტეტმა. ამასთან, მუნიციპალიტეტმა ვერ დაადასტურა, თუ რამ გამოიწვია ავტომანქანის დაზიანება და ვერ განმარტა რატომ არ მიმართა სადაზღვევო კომპანიას ზიანის ანაზღაურების შესახებ. შესაძლებელია ავტომანქანას უკვე ჰქონდა დაზიანება სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმების დროს. აღნიშნულის დასადასტურებლად მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა ფოტოსურათები, ავტომანქანის ვიზუალური მდგომარეობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი ავტომანქანა TOYOTA HILUX დაზიანდა დაზღვევის შემდეგ, მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო გამოეყენებინა ზარალის ანაზღაურების შესაძლებლობა, რითაც დაზოგავდა 1.4 ათასი ლარის საბიუჯეტო რესურსს.

²⁵ SPA170001255.

²⁶ მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, იყო თუ არა ავტომანქანა დაზიანებული დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებამდე.

საკრებულოს წევრებზე დასაბუთების გარეშე გაწეული ხარჯები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად²⁷, მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა, საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც აღინიშნება დოკუმენტის დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები²⁸.

გამოვლენილი გარემოება: კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (არათანამდებობის პირები) ხარჯები 2016-2017 წლებში გაიცემოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 სექტემბრის №29 დადგენილების საფუძველზე²⁹. დადგენილების შესაბამისად, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების ანაზღაურების ოდენობად განისაზღვრა 397.5 ლარი. ანაზღაურება გაიცემოდა შემდეგი აქტივობებისათვის:

- საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა;
- საკრებულოს კომისიების მუშაობაში მონაწილეობა;
- ამომრჩეველთან თვის განმავლობაში არანაკლებ 3 შეხვედრა.

საკრებულოს არათანამდებობის პირებს, თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, ეძლევათ არა საქმიანობასთან დაკავშირებული ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ აუნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

²⁷ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 41.

²⁸ „ინსტრუქცია ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 5. დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით.

²⁹ „კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობების პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებს 2016-2017 წლებში, ხარჯების ანაზღაურების სახით, სულ მიღებული აქვთ 185.6 ათასი ლარი, მათ შორის, 2016 წელს – 89.8 ათასი ლარი, ხოლო 2017 წელს – 95.8 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ძირითად შემთხვევებში საკრებულოს წევრებზე ყოველთვიურად გაცემულია ფიქსირებული თანხა, ლიმიტის მაქსიმალური ოდენობა - 397.5 ლარი. ნაკლებად სარწმუნოა, რომ საკრებულოს წევრებს, რომლებიც წარმოდგენენ მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულს, ზუსტად იდენტური დანახარჯები ჰქონდეთ. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად. თანხების გაცემის საფუძველია საკრებულოს წევრების ყოველთვიური ინფორმაცია ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და სხვა აქტივობების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები არ აკმაყოფილებს ხარჯის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის კრიტერიუმს.

დასკვნა

კასპის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) 2016-2017 წლებში საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 185.6 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

რეკომენდაცია №6: მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ დაუშვას საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს არათანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელება

კრიტერიუმი 1: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად³⁰, შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს მხოლოდ წინასწარ დამტკიცებული და რეგისტრირებული გეგმის შესაბამისად. გეგმა მტკიცდება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ და აიტვირთება სახელმწიფო შესყიდვების მოდულში. გეგმის პარამეტრების დაცვა სავალდებულოა.

³⁰ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 9 პუნქტი 1; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №2, 10.02.2011, მუხლი 4.

გამოვლენილი გარემოება: აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა კასპის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის პროცესი. გამოვლინდა, რომ შეუსაბამოებია შესყიდვების წლიური გეგმით დამტკიცებულ პარამეტრებსა და ზოგიერთი CPV კოდით გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურ ღირებულებებს შორის. კერძოდ, 2016 წლისათვის ხელშეკრულებები გაფორმებულია გეგმით დამტკიცებული პარამეტრების გადაჭარბებით³¹. აღსანიშნავია, რომ გეგმის კორექტირება შესყიდვის განხორციელების შემდეგაც არ მომხდარა. მაგალითად, 2016 წლის შესყიდვების წლიური გეგმით CPV72400000 კოდით ინტერნეტმომსახურების შესყიდვა გათვალისწინებული იყო 200 ლარის მოცულობით. მუნიციპალიტეტმა პროვაიდერულ მომსახურებაზე ხელშეკრულება გააფორმა 24.0 ათასი ლარის ღირებულებით. ასევე, წლიური გეგმა CPV90600000 კოდით ითვალისწინებდა 110.0 ათასი ლარის ქალაქის ან სოფლის ზონების დასუფთავების და სანიტარული მომსახურების შესყიდვას. აღნიშნულ მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულება 125.7 ათასი ლარია.

დასკვნა

კასპის მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვების დამტკიცებული გეგმის დარღვევით 2016 წელს ჩაატარა სულ 11 სახელმწიფო შესყიდვა, ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებით – 166.3 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, თავისი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ასევე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება³². დაწესებულების ხელმძღვანელმა ორგანიზაციაში და ყველა დაქვემდებარებულ ერთეულში უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა. აღნიშნული უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ მხარჯავ დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნეს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენება³³. საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა რიცხოვნობას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული აკონტროლებს საბიუჯეტო განაცხადის მონაცემებით³⁴.

³¹ 2016 წლის ხელშეკრულებები №16,60,64,103,109,124,126,147,148,273,279. (შედარდა spa.ge-ზე ატვირთულ გეგმასთან)

³² ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლები 20, 106¹.

³³ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6.

³⁴ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 77.

გამოვლენილი გარემოება: 2016-2017 წლებში კასპის მუნიციპალიტეტი სუბსიდიური წესით აფინანსებდა 8 (რვა) არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირს და 2 (ორ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. აღნიშნულ სუბიექტებს 2016-2017 წლებში მიღებული აქვთ ჯამში 6,802.5 ათასი ლარის დაფინანსება, რაც საერთო გადასახდელების 25%-ია. აქედან, 1,049.4 ათასი ლარი გაცემულია შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებაზე.

აუდიტის ჯგუფმა „სუბსიდიის“ მუხლის პროგრამული დაფინანსების ფარგლებში ზოგადად შეისწავლა კასპის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ში დასაქმებულთა რიცხოვნობა და მათი ფუნქციები, რაც კავშირში უნდა იყოს დაწესებულების წესდებით/დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასთან. გაირკვა, რომ ზოგიერთი დაქირავებული მუშაკის სამსახურებრივი მოვალეობა არ არის სათანადოდ დასაბუთებული და არ გამომდინარეობს დაწესებულების საქმიანობის საჭიროებიდან.

მაგალითად, ა(ა)იპ „კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანებაში“ სტრუქტურულად შედის გაერთიანების აპარატი, 44-ე სპორტული სკოლა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სპორტული სკოლები. 44-ე სპორტული სკოლა აერთიანებს საფეხბურთო და ჭიდაობის სკოლებს. გაერთიანების აპარატში 2016-2017 წლებში დასაქმებული იყო 23 შტატგარეშე მოსამსახურე, მათ შორის, 8 მათგანი კურიერება 44-ე სპორტულ სკოლას. გარდა ამისა, 7 მოსამსახურეს ევალუბოდა ჭიდაობის სკოლის, ხოლო 8 მოსამსახურეს საფეხბურთო სკოლის კურატორობა. თავის მხრივ, ჭიდაობის სკოლაში 2016-2017 წლებში შტატით ირიცხებოდა 36 მოსამსახურე, საიდანაც სამწვრთნელო საქმიანობით იყო დაკავებული 21. საფეხბურთო სკოლაში შტატით ირიცხებოდა 28 მოსამსახურე, საიდანაც სამწვრთნელო საქმიანობით იყო დაკავებული 13 მოსამსახურე.

აუდიტის ჯგუფმა ვერ დაადგინა თუ რით განსხვავდებოდა თითოეული დაქირავებულის საკურატორო საქმიანობა სფეროების მიხედვით. სულ ა(ა)იპ „კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანებაში“ 2016-2017 წლების სხვადასხვა პერიოდში დასაქმებული იყო 26-29 შტატგარეშე სპეციალისტი, რომლებზედაც სახელშეკრულებო ანაზღაურებისა და პრემიის სახით გაცემულია 290.4 ათასი ლარი.

მსგავსი სიტუაციაა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სხვა სუბიექტებშიც. ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელი პირები რიგ შემთხვევებში ხელშეკრულებებს აფორმებდნენ ისეთი ფუნქციების შესასრულებლად, რომლის უზრუნველყოფაც შტატით დასაქმებულ ან სხვა დაქირავებულ მოსამსახურეს შეეძლო. მაგალითად:

- ერთიდაიმავე ა(ა)იპ-ების აპარატში დასაქმებული შტატით გათვალისწინებული და შტატგარეშე მოსამსახურეების ფუნქციები ერთნაირია: საორგანიზაციო

საკითხებით და ბუღალტრული საქმიანობით დაკავებულია რამდენიმე თანამშრომელი;

- შტატგარეშე მოსამსახურეები ეწევიან ერთნაირ საქმიანობას: ერთიდაიმავე ა(ა)იპში ღონისძიებების ფოტო-ვიდეო გადაღებას უზრუნველყოფს 3 დასაქმებული; რამოდენიმე შტატგარეშე მოსამსახურე ერთდროულად ითავსებს საქმის წარმოების, ბრძანებების გაფორმების ფუნქციებს;
- ერთი ტიპის საქმიანობა ხელოვნურად არის გადანაწილებული სხვადასხვა შტატგარეშე მოსამსახურეებზე: საორგანიზაციო საკითხებს ერთიდაიმავე ა(ა)იპ-ში ხელმძღვანელობს სხვადასხვა თანამშრომელი, ხოლო ამ საკითხების რეგულირება იურიდიული კუთხით ევალება სხვა შტატგარეშე მოსამსახურეს; არსებობენ მოსამსახურეები, რომლებსაც ევალებათ ორგანიზაციებთან ხელშეკრულების გაფორმება. ორგანიზაციებში ამ ხელშეკრულებების მიტანა სხვა შტატგარეშე მოსამსახურეების ფუნქციაა.

დასკვნა

კასპის მუნიციპალიტეტი 2016-2017 წლებში აფინანსებდა დაფუძნებული სუბიექტების ზოგიერთ შტატგარეშე მოსამსახურეს, რომელთა საქმიანობაც არ გამომდინარეობდა ორგანიზაციებზე დაკისრებული ფუნქციებისა და ვალდებულების შესრულების საჭიროებიდან.

რეკომენდაცია №7: მუნიციპალიტეტმა დაფუძნებულ სუბიექტებში შეისწავლოს შტატით გათვალისწინებული და შტატგარეშე მოსამსახურეების ფუნქცია-მოვალეობები და დაგეგმოს ოპტიმალური ვარიანტი თითოეული დასაქმებულის ფუნქციური დატვირთვისათვის და საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სუბიექტების საქმიანობის პროდუქტიულობას და მოსახლეობისათვის მიწოდებული სერვისების გაუმჯობესებას.

ზამთრის სეზონზე გზების მოვლა - პატრონობის მომსახურების შესყიდვა

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების მიზანია სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება; შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა³⁵.

³⁵ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 2.

გამოვლენილი გარემოება: კასპის მუნიციპალიტეტმა 2016 წლის დეკემბერში ტენდერი გამოაცხადა ზამთრის სეზონზე გზების მოვლა – პატრონობის მომსახურების შესყიდვაზე³⁶. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა, ი/მ დავით ლიპარტელიანმა და შპს „კასპის კეთილმოწყობამ“. ტენდერის მონაწილეებს შორის დაბალი ფასი ი/მ დავით ლიპარტელიანმა დააფიქსირა³⁷. 29 დეკემბერს სატენდერო კომისიამ ტენდერი შეწყვიტა და მოტივად სხდომის ოქმში ტექნიკური დოკუმენტაციის ცვლილების საჭიროება მიუთითა.

განმეორებითი ტენდერი მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა იმავე დღეს – 29 დეკემბერს³⁸. სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ მოთხოვნებს დაემატა ჩანაწერი ანალოგიური მომსახურების გამოცდილების შესახებ. აღსანიშნავია, რომ 2014-2015 წლებში გამოცხადებული ანალოგიური ტენდერებისათვის მუნიციპალიტეტს არასოდეს მოუთხოვია გზების მოვლა პატრონობის მომსახურების გამოცდილება. აღნიშნულ ტენდერებს ყოველთვის იგებდა შპს „კასპის კეთილმოწყობა“, რომელიც წარმოადგენდა ერთადერთ მონაწილეს. დიდი ალბათობით, მუნიციპალიტეტმა სატენდერო დოკუმენტაცია შეცვალა შპს „კასპის კეთილმოწყობის“ სასარგებლოდ.

ახლადგამოცხადებული ტენდერის დოკუმენტაციაში ატვირთული არ იყო სამუშაოების ჩამონათვალი, ხარჯთაღრიცხვის სახით. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთადერთმა პრეტენდენტმა – შპს „კასპის კეთილმოწყობამ“, რომელმაც ხარჯთაღრიცხვა შეავსო გაუქმებული ტენდერის ანალოგიით და მასთან გაფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით 9.1 ათასი ლარი.

დასკვნა

შპს „კასპის კეთილმოწყობა“ მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საწარმოა. კასპის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებები მიმართულია საკუთარი საწარმოს ინტერესების სასარგებლოდ. კერძოდ, კომისიამ შეზღუდა ტენდერში სხვა პრეტენდენტის მონაწილეობა და გამარჯვება, რაც სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით დაუშვებელია.

შიდა აუდიტი

კრიტერიუმი: „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შიდა აუდიტის სუბიექტის შესწავლისა და ანალიზის საგანი შესაძლებელია იყოს დაწესებულების სისტემაში მიმდინარე ყველა პროცესი და საქმიანობის სფერო. შიდა აუდიტი ეხმარება დაწესებულებას საქმიანობის

³⁶ SPA160031963.

³⁷ ი/მ დავით ლიპარტელიანი – 9.0 ათასი ლარი; შპს „კასპის კეთილმოწყობა“ – 9.1 ათასი ლარი.

³⁸ SPA160032509.

მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით, ასევე არსებული რისკების მართვის ხარისხის, ფინანსური და კონტროლის სისტემის ადეკვატურობის შეფასებისათვის. შიდა აუდიტის სამსახურის უპირველეს ფუნქციას სისტემური ხარვეზების შესწავლა და მათ გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების შემუშავება წარმოადგენს. სამსახური ასევე შეიმუშავებს რეკომენდაციებს დაწესებულების საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით.

რეკომენდაციების დახმარებით, ორგანიზაციამ უნდა შეძლოს ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა, რომლითაც შესაძლებელი იქნება ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოჩენა, თაღლითობისა და შეცდომების გამოვლენა და პრევენცია.

გამოვლენილი გარემოება: კასპის მუნიციპალიტეტში შექმნილია შიდა აუდიტის სამსახური. სამსახურის მიზანია უზრუნველყოს დაწესებულების წინაშე არსებული რისკების დადგენა და მათი მართვის ხარისხის შეფასება, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება, დაწესებულების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება/მონიტორინგი, დაწესებულების საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება, ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება, დაწესებულების აქტივებისა და სხვა რესურსების ადეკვატურად დაცულობის შეფასება.

კასპის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშების შესწავლით გაირკვა, რომ სამსახურმა 2016-2017 წლებში სამსახურმა დაგეგმა და შეამოწმა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 15 სუბიექტი (ა(ა)იპ, შპს). სამსახურს არ შეუძლია მერიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა და შესაბამისად, არ განუხორციელებია შესაძლო დარღვევებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება. გამომდინარე აქედან, არ არის შეფასებული, შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად ხდება ფინანსების გამოყენება, დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ.

რეკომენდაცია №8: მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს ზოგადად თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის გაუმჯობესება, არსებული რისკების შეფასებით და მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის გზით. ამასთანავე, შეიმუშაოს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით.

წინა აუდიტის დროს გამოვლენილი დარღვევები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა წინა წლებში ჩაატარა კასპის მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი (01.01.2010-01.06.2013 წლები). აუდიტის ანგარიშში დაფიქსირდა სხვადასხვა არსებითი ხასიათის დარღვევა-ნაკლოვანება. აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია თუ რა ღონისძიებებია გატარებული აღნიშნული დარღვევების გამოსასწორებლად. შესაბამისად, კასპის მუნიციპალიტეტმა არ მოახდინა სათანადო რეაგირება შემდეგი გარემოებების გამოსასწორებლად:

1) 2012 წლის ივლისიდან გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებულ სამშენებლო სამუშაოებზე გაწეული ხარჯები მუნიციპალიტეტმა აანაზღაურა ფაქტობრივი ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე. აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის შედეგად წარმოდგენილი დოკუმენტაცია იყო არასრულყოფილი და საჭიროებდა შემდგომ დაზუსტებას;

2) კასპში, ჭავჭავაძის ქუჩა №25-ში მდებარე საცხოვრებელი შენობის სახურავის კაპიტალური შეკეთების სამუშაოებისათვის გამოვლინდა ერთი და იმავე სამუშაოს შესრულებაში ორჯერ გადახდილი თანხები;

3) მუნიციპალიტეტმა განმეორებით დაუშვა მიწოდების ვადების დაუსაბუთებელი გაზრდის შემთხვევები, რომლებიც აღწერილია აუდიტის ანგარიშში.

მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის ობიექტმა დაგეგმოს და განხორციელოს საჭირო ქმედებები დასკვნებში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის და მომავალში არ დაუშვას მათი განმეორება. აღნიშნული აუცილებელია საჯარო დაწესებულების ინტერესების დაცულობის, საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვისა და ქვეყანაში ერთიანი ფინანსური პოლიტიკის ჩამოყალიბების კუთხით. ამდენად, კასპის მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო გაეტარებინა საკმარისი და შესაფერისი ღონისძიებები აუდიტის ანგარიშში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორებისათვის და შედეგების მისაღებად, რაც არ განხორციელებულა.

რეკომენდაცია №9: მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარმოადგინოს ღონისძიებათა გეგმა მუნიციპალიტეტის აუდიტის ანგარიშებში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის. გონივრულ ვადაში ასევე წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და მიღწეული შედეგების შესახებ. მუნიციპალიტეტმა გაატაროს სათანადო ღონისძიებები იმ პასუხისმგებელ პირთა მიმართ, რომელთაც ევალებოდათ აღნიშნულ დარღვევა-ნაკლოვანებებზე რეაგირება და განმეორებით დაუშვეს ან არ გაატარეს საკმარისი და

შესაფერისი ღონისძიებები აუდიტის წინა ანგარიშში ასახული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

აუდიტორთა ხელმოწერა

ხელმოწერა

სახელი, გვარი

ზურაბ ჩაფიჩაძე

(წამყვანი აუდიტორი)

ირაკლი გოგოლიძე

(აუდიტორი)

თეა უდესიანი

(აუდიტორი)

თამარ კუხიანიძე

(აუდიტორ-ასისტენტი)

